



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1220
19/06/2018

ქალაქი ბათუმი

1220-05-4-201806191632



შ.პ.ს - საფეხბურთო კლუბ მაჭახელასათვის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 11 ივნისის №1651-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შ.პ.ს. - საფეხბურთო კლუბ მაჭახელას თხოვების ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი თანდართული დანართის შესაბამისად, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 17145 (ჩვიდმეტი ათასასორმოცდახუთი) ლარს.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას (ლ. ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს შ.პ.ს - საფეხბურთო კლუბ მაჭახელასთან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) აღნიშნული ქონების მიმართ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა